

Image not found or type unknown

ტენდერი საოფისე აღჭურვილობისა და საკანცელარიო ნივთების შექენაზე

ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) არის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის დაფინანსების მთავარ წყაროს გრანტები წარმოადგენს.

ორგანიზაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ. გვერდზე:

<http://www.gyla.ge>

შესყიდვის ობიექტი - საოფისე აღჭურვილობის/საკანცელარიო ნივთები

შესყიდვის ობიექტის მონოდების ვადები - შესყიდვის ობიექტის მონოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 20 მარტის ჩათვლით მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

საქონლის მინოდების ადგილი: თბილისი, ჯ. კახიძის ქ #15 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ ქსელური მაღაზიების არსებობის შემთხვევაში თელავში, ქუთაისში, ოზურგეთში, ზუგდიდისა და ბათუმში საიას ოფისების შესაბამის მისამართებზე).

საქონლის ფასი: სატენდერო წინადადებაში საქონლის ერთეულისა და საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მინოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის ჩათვლით შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ჩამოტვირთეთ [ცხრილი](#)

წარმოდგენილი ფასები უნდა მოქმედებდეს 2021 წლის 20 მარტის ჩათვლით და არ ექვემდებარებოდეს გადახედვას (შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში).

ანგარიშსწორების პირობები: ანგარიშსწორება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორებით ლარში, ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტების მიხედვით, ცალკეული

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მონოდების დროს დღგ-ს გარეშე ან დღგ-ს ჩათვლით.

ღირებულების შესაბამისად, ანგარიშსწორება მოხდება მონოდების დოკუმენტებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

წინასწარი გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება.

ტენდერში მონაწილეობის მსურველმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია ელექტრონული ფორმით შემდეგ მისამართზე gkiphiani@gyla.ge გთხოვთ, დასახელებაში მიუთითოთ „ტენდერი“, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი განაცხადი არ განიხილება.

ა) კომპანიის დასახელება და კომპანიის რეკვიზიტები (დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართი, ტელეფონის/ფაქსის ნომერი, ხელმძღვანელ(ებ)ის სახელი და გვარი);

ბ) მისაწოდებელი საქონლის ფასები დანართისა და ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად;

უპირატესობა მიენიჭება იმ კომპანიებს რომლებსაც გააჩნიათ ქსელური მაღაზიები შესაბამის ქალაქებში: თბილისი, ქუთაისი, თელავი; ოზურგეთი, ზუგდიდი, ბათუმი.

ელექტრონული განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **2020 წლის 6 აგვისტოს ჩათვლით.**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

თბილისი, ჭ. კახიძის ქ. #15 ს.ი. 0102

ტელ.: (995 32) 2936101 / 2952353 (124)

ფაქსი: (995 32) 2923211

Email: gkiphiani@gyla.ge

Web: www.gyla.ge